საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/10284
18/11/2016

10284-2-01-2-201611181747

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)

ანალიტიკოსს ქვემო ქართლის რეგიონში

ქალბატონ მანონ ბოკუჩავას

ელ–ფოსტა: manonbokuchava@gmail.com

ქალბატონო მანონ,

მიმდინარე წლის 07 ნოემბერს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემოვიდა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N3825-01 წერილი, თქვენი 2016 წლის 6 ნოემბრის წერილის შესახებ, რომელიც ეხება მარნეული-რუსთავის (მარნეული-ლომთაგორა-ალგეთი) გზის მშენებლობას.

აღნიშნული წერილის პასუხად, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ:

2014 წლის 17 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის N2039 განკარგულების თანახმად გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA140026599 ადგილობრივი მნიშვნელობის მარნეული–ლომთაგორას საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშოების შესყიდვაზე ღირებულებით - 21 180 540.00 ლარი.

2014 წლის 24 ნოემბრის სატენდერო კომისიის ოქმი N2-ით მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ღია სააქციო საზოგადოება ,,სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში აკორდ ჯორჯია''-ს მიენიჭა დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო, აღნიშნული გადაწყვეტილება, ღია სააქციო საზოგადოება ,,სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში აკორდ ჯორჯია''-მ დისკვალიფიკაციაზე გასაჩივრა კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების საბჭოში, მოსარჩელე კომპანიის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამავე საოქმო გადაწყვეტილებით სატენდერო კომისიამ მიმართა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ დაეზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია.

ვინაიდან ღია სააქციო საზოგადოება „სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში აკკორდ ჯორჯიას“ მიერ გასაჩივრდა სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და სასამართლოში დავის განხილვასთან დაკავშრებით გაჭიანურდა სატენდერო პროცედურები. 2015 წლის 29 ოქტომბრის დეპარტამენტის სატენდერო კომისიის N7 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების თანახმად აღნიშნულ

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერს მიენიჭა სტატუსი - „ტენდერი შეწყვეტილია“ და შესაბამისად გამარჯვებული კომპანია ვერ გამოვლინდა.

ღია სააქციო საზოგადოება ,,სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში აკკორდ ჯორჯია''-მ 2014 წლის 22 დეკემბერს სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა საქართველოს შესყიდვების სააგენტოსთან დაკავშირებული დავების საბჭოს 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების და ერთეტაპიან გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან №SPA40026599 დაკავშირებით მიღებული საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2014 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმი N2 ბათილად ცნობა; სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო საჩივარი არ მიიღო წარმოებაში.

რაც შეეხება პროექტის განხორციელებას, მარნეული-ლომთაგორა-ალგეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის საკითხი, კომპლექსურად იქნება განხილული ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, რუსთავი-სადახლოსა და რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთების მშენებლობასთან ერთად.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და

ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე

პასუხისმგებელი პირი

დეა ქვრივიშვილი

სამმართველოს უფროსი

აპარატი